დამტკიცებულია სსიპ შოთა რუსთაველის თეატრისა
და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური
საბჭოს 25.03.2010 წლის დადგენილებით (ოქმი №10)

სსიპ შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის
სტუდენტის აკადემიური შვებულებით სარგებლობის წესი

§1. რეგულირების სფერო

აკადემიური შვებულებით სარგებლობის წესი აწესრიგებს სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში: უნივერსიტეტი) სტუდენტის აკადემიურ შვებულებაში გასვლას.

§2. აკადემიური შვებულებით სარგებლობის უფლება

(1) სტუდენტის აკადემიური შვებულებით სარგებლობის უფლება გარანტირებულია და მას უზრუნველყოფს უნივერსიტეტი.

(2) აკადემიური შვებულებით სარგებლობის უფლება აქვს უნივერსიტეტის სტუდენტს, რომელსაც სტუდენტის სტატუსი არა ქვს შეჩერებული ან შეწყვეტილი.

(3) აკადემიური შვებულებაში გასვლის მიზნით სტუდენტი მიმართავს უნივერსიტეტს განცხადებით.

§3. აკადემიური შვებულებით სარგებლობის საფუძველი

(1) სტუდენტის მიერ აკადემიურ შვებულებაში გასვლა დასაშვებია ერთ-ერთი შემდეგი საფუძვლის არსებობისას:

1. სწავლის, კვლევის ან/და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით სტუდენტის უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში გამგზავრება;
2. სასწავლო პრაქტიკის მიზნით სტუდენტის უცხო ქვეყნის ორგანიზაციაში გამგზავრება;
3. სტუდენტის ავადმყოფობა;
4. სტუდენტის ორსულობა, მშობიარობა ან/და შვილის მოვლა;
5. ავადმყოფი, შრომისუუნარო ან ხანდაზმული ოჯახის წვრის მეურვეობა ან/და რჩენა, თუ ოჯახში არ არის სხვა შრომისუნარიანი პირი;
6. სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევა.

(2) პირველ აბზაცში დასახელებული საფუძვლის გარდა, აკადემიურ შვებულებაში გასვლა დასაშვებია სხვა საპატიო მიზეზით, ობიექტური წინაპირობების არსებობისას, რის გამოც სტუდენტი ვერ ახერხებს სწავლის გაგრძელებას. ასეთ შემთხვევაში, სტუდენტის აკადემიურ შვებულებაში გასვლას ინდივიდუალურად იხილავს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

§4. აკადემიური შვებულების ვადა

(1) აკადემიური შვებულების ვადა შეადგენს ერთ სემესტრს, თუ შესაბამისი გარემოებებით სხვა ვადის გამოყენება არ არის აუცილებელი.

(2) სწავლის, კვლევის, კვალიფიკაციის ამაღლების ან/და სასწავლო პრაქტიკის შემთხვევაში აკადემიური შვებულების ვადა განისაზღვრება შესაბამის მოწვევაში მითითებული ვადით ან მომწვევი ორგანიზაციის მიერ გაცემულ დოკუმენტში მითითებული ვადით.

(3) სტუდენტის ორსულობის, მშობიარობის ან/და შვილის მოვლის გამო აკადემიური შვებულების ვადა განისაზღვრება სტუდენტის მიერ განცხადებაში მითითებული ვადით.

(4) აკადემიური შვებულების ვადა არ უნდა აღემატებოდეს სამ სასწავლო წელს, გარდა სტუდენტის ავადმყოფობის ან სწავლის, კვლევის ან/და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში გამგზავრებისა.

(5) სტუდენტის ავადმყოფობის შემთხვევაში, აკადემიური შვებულების ვადა განისაზღვრება მკურნალი ექიმის დასკვნის საფუძველზე მკურნალობისათვის აუცილებელი ვადის შესაბამისად, ხოლო სწავლის, კვლევის ან/და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში გამგზავრების შემთხვევაში – მოწვევაში მითითებულ ვადაში ან მიმღები საგანმანათლებლო დაწესებულების სასწავლო პროგრამის ხანგრძლივობით.

§5. აკადემიური შვებულების ვადის გაგრძელება

(1) აკადემიური შვებულების ვადის გაგრძელება დასაშვებია სტუდენტის განცხადებით.

(2) აკადემიური შვებულების ვადის გაგრძელების მოთხოვნით სტუდენტმა უნდა მიმართოს უნივერსიტეტს აკადემიური შვებულების ვადის ამოწურვამდე არაუგვიანეს ერთი თვისა. ამ ვადის გასვლის შემთხვევაში განცხადება აკადემიური შვებულების ვადის გაგრძელებაზე რჩება განუხილველი.

§6. განცხადების შინაარსი და თანდართული დოკუმენტები

(1) აკადემიურ შვებულებაში გასვლის განცხადება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

1. უნივერსიტეტის დასახელება;
2. სტუდენტის სახელი და გვარი;
3. მისამართი, საკონტაქტო ინფორმაცია;
4. მოთხოვნა აკადემიურ შვებულებაში გასვლაზე, აკადემიურ შვებულებაში გასვლის საფუძვლის მითითებით;
5. აკადემიური შვებულების ვადა;
6. თანდართული დოკუმენტების ჩამონათვალი;
7. განცხადების წარდგენის თარიღი და ხელმოწერა.

(2) განცხადებას უნდა დაერთოს:

1. სტუდენტის პირადობის დამადასტურებელი დოკუმეტის ასლი;
2. სტუდენტის ბარათის ასლი;
3. აკადემიურ შვებულებაში გასვლის საფუძვლის დამადასტურებელი დოკუმენტი.

§7. განცხადების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება

(1) სტუდენტის განცხადება აკადემიური შვებულებით სარგებლობის მოთხოვნაზე ან აკადემიური შვებულების ვადის გაგრძელებაზე განსახილველად გადაეცემა უნივრსიტეტის იმ ფაკულტეტს, სადაც სწავლობს სტუდენტი.

(2) ფაკულტეტი იხილავს განცხადებასა და თანდართულ მასალებს, აუცილებლობის შემთხვევაში სტუდენტისაგან იღებს განმარტებას, ითხოვს მისგან დამატებით დოკუმეტს და განცხადების დაკმაყოფილების ან მასზე უარის შესახებ უნივერსიტეტის რექტორს წარუდგენს დასაბუთებულ მოსაზრებას წერილობითი ფორმით.

(3) უნივერსიტეტს უფლება აქვს შეამოწმოს სტუდენტის მიერ წარმოდგენილი მასალებისა და ინფორმაციის სისწორე, მათ შორის, მოითხოვოს სტუდენტის სამედიცინო შემოწმება.

(4) აკადემიური შვებულებით სარგებლობის ან მასზე უარის შესახებ გამოიცემა უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება.

(5) აკადემიური შვებულებით სარგებლობაზე უარის შემთხვევაში დასაშვებია აკადემიური შვებულებით სარგებლობის ხელახლა მოთხოვნა, თუ შეიცვალა ის ფაქტობრვი ან სამართლებრივი ვითარება, რაც გახდა უარის საფუძველი.

§8. განცხადების განხილვის ვადა

აკადემიური შვებულებით სარგებლობის მოთხოვნაზე და აკადემიური შვებულების ვადის გაგრძელებაზე განცხადების განხილვის ვადა შეადგენს ერთ თვეს.

§9. აკადემიური შვებულებით სარგებლობის შედეგები

(1) აკადემიურ შვებულებით სარგებლობა იწვევს სტუდენტის სტატუსის შეჩერებას. აკადემიური შვებულების პერიოდში სტუდენტს უჩერდება აკადემიური და ფინანსური ვალდებულებები უნივერსიტეტის წინაშე.

(2) აკადემიურ შვებულებით სარგებლობის შემდეგ სტუდენტი სწავლას აგრძელებს იმ სემესტრიდან, საიდანაც შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი.

(3) აკადემიურ შვებულებით სარგებლობის დასრულების შემდეგ შესაბამისი სასწავლო პროგრამის არარსებობისას, სტუდენტი სწავლას აგრძელებს სხვა უფრო ახლოს მდგომ სასწავლო პროგრამაზე, აუცილებელი დამატებითი საგანში გამოცდის გავლის საფუძველზე. თუ სტუდენტს არ სურს სწავლის გაგრძელება სხვა სასწავლო პროგრამაზე, მისივე მოთხოვნით შეუჩერდება სტუდენტის სტატუსი მსგავსი პროგრამის დაწყებამდე.

§10. აკადემიური შვებულების შეწყვეტა

(1) აკადემიური შვებულება წყდება ვადის გასვლით. ვადის გასვლამდე აკადემიური შვებულების შეწყვეტა შესაძლებელია სტუდენტის განცხადების საფუძველზე, თუ მას არ სურს აკადემიური შვებულებით ან შვებულების დარჩენილი ნაწილით სარგებლობა.

(2) აკადემიური შვებულების შეწყვეტა დასაშვებია ნებისმიერ დროს.

(3) აკადემიური შვებულების შეწყვეტაზე გადაწყვეტილება მიიღება 3 დღის ვადაში.

(4) აკადემიური შვებულების შეწყვეტაზე გამოიცემა უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება.

§11. გასაჩივრების უფლება

სტუდენტს უფლება აქვს უნივერსიტეტის გადაწყვეტილება აკადემიური შვებულებით სარგებლობაზე უარის შესახებ გაასაჩივროს სასამართლოში.

§12. ძალაში შევლა

აკადემიური შვებულებით სარგებლობის წესი ძალაშია მისი დამტკიცებისთანავე.